რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. მოხსენება გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ზ. კეცხოველმა.** მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კოოპერატორები, ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, აღწევენ სოფლის მშრომელთა მზარდი მოთხოვნილებებისა და კოლმეურნეობათა საწარმოო საჭიროებების უფრო სრულ დაკმაყოფილებას, თავიანთი წვლილი შეაქვთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის საყოველთაო-ს ა ხ ა ლ ხ ო ბრძოლაში.

1957 წელს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვამ სამ მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ეს თითქმის 1 მილიარდ 300 მილიონი მანეთით აღემატება 1950 წლის საქონელბრუნვას. კოოპერაციამ შარშან სოფლის მოსახლეობას მიჰყიდა 350 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო და სასურსათო საქონელი, ვიდრე 1956 წელს.

სამომხმარებლო კოოპერაცია დიდ მუშაობას ეწევა ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობის გასაფართოებლად, აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო სოფლის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 76 ათასი რადიომიმღები და ტელევიზორი, 1.700 პიანინო, ხუთი ათასი მაცივარი, 33 ათასი საკერავი მანქანა და ბევრი სხვა საქონელი.

განუწყვეტლივ ფართოვდება წიგნის ვაჭრობა სოფლად. მარტო 1957 წელს გაიყიდა 20 მილიონი მანეთის ლიტერატურა — 4,4 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1956 წელს.

კოოპერაცია ახლა უფრო სრულად აკმაყოფილებს კოლმეურნეობათა და სოფლის მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს საშენ მასალებსა და საწარმოო დანიშნულების საქონელზე მშენებლობის უზრუნველსაყოფად, რომელიც თართოდ გაჩაღდა კოლმეურნეობებში. 1957 წელს გაიყიდა 200 ათასზე მეტი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა, 52 ათასი ტონა ცემენტი, 18 მილიონი ფილა შიფერი, 580 ათასი კვადრატული მეტრი ფანჯრის მინა და სხვა სამეურნეო საქონელი.

რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საქმიანობა და ხილბოსტნეულის, მატყლის, ტყავისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ერთ-ერთი ძირითადი დამამზადებელი გახდა. კოოპერაციის დამზადებისა და შესყიდვის მოცულობა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ორნახევარჯერ გადიდდა და 1957 წელს 340 მილიონ მანეთს მიაღწია.

განმტკიცდა კოოპერაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1956-1957 წლებში მაღაზიების, დუქნების, სასადილოების, საჩაიეების, საწყობების, საწარმოების ქსელის განვითარებაზე დაიხარჯა 90 მილიონ მანეთზე მეტი.

მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა სოფლის კოოპერატივებისა და რაიკოოპკავშირების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის. კოოპერაციას შეემატნენ უნარიანი, კვალიფიციური კადრები. მის სისტემაში ბევრია მოწინავე სავაჭრო საწარმო, სოფლის კოოპერაციული ორგანიზაცია. მათ შორის არიან მახარაძის რაიონის ნატანების სოფლის კოოპერატივი, გორის რაიონის მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივი, მცხეთის რაიონული კოოპერატივი და სხვები. იმყარებიან რა მეპაიე წევრთა აქტიურ საქმიანობას, მათ გააუმჯობესეს მომხმარებელთა მომსახურება.

წელს უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს სამომხმარებლო საზოგადოებათა და კავშირების მართვისა და კონტროლის ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაში აქტიურად მონაწილეობენ მეპაიეები — კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მექანიზატორები, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი სამომხმარებლო კოოპერაციას. მისი საქმიანობის დადებითი შედეგები იმის ნაყოფია, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერეს პარტიული ხელმძღვანელობა და კონტროლი კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობისადმი. გაუმჯობესდა მთელი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა სოფლად.

მაგრამ რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. მისი საქმიანობა ჩამორჩება სოფლის მშრომელთა მზარდ მოთხოვნებს და კოლმეურნეობათა საწარმოო საჭიროებებს. საკმაოდ არ წარმოებს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზატორული მუშაობა სოფლის მოსახლეობის ფართო ფენებში. ხშირად კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ავიწყდებათ ლენინური მითითება სოციალისტურ მშენებლობაში კოოპერაციის როლის შესახებ, კოოპერაციულ მშენებლობაში. მასების თვითმოქმედების გამოყენების დიდი მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, რომ „...მასებში ბევრზე ბევრნი მოიპოვებიან ცოცხალი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ უზარმაზარი ნიჭი გამოიჩინონ უფრო მეტად, ვიდრე ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ. და მუშათა კოოპერაციის ამოცანაა მოიზიდოს ეს ძალები, გამონახოს ისინი და მისცეს მათ უშუალო სამუშაო პროდუქტთა მომარაგებისა და განაწილების დარგში“. (ვ. ი. ლენინი).

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია მეპაიეთა 600-ათასიან არმიას აერთიანებს. მაგრამ კოოპერაციული ორგანიზაციების ზოგიერთი გამგეობა ჯეროვნად ვერ აფასებს მეპაიეებთან მუშაობას, სუსტად იზიდავს მათ კოოპერაციის საქმეთა მართვაში. ადიგენის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და სხვა რაიონების მთელ რიგ კოოპერაციულ ორგანიზაციებში არ იცავენ სამომხმარებლო საზოგადოებათა მართვის დემოკრატიულ პრინციპებს.

მოხსენებაში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ცეკავშირის გამგეობა, კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობანი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ვაჭრობის ორგანიზაციის, მისი კულტურის ამაღლების, უყაირათობასთან ბრძოლის საკითხებს. რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციამ მთლიანად 110,2 პროცენტით შეასრულა საქონელბრუნვის შარშანდელი გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმაც. მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ თვიურ და კვარტალურ დავალებებს. ეს იმის შედეგია, რომ რაიკოოპკავშირები ყოველთვის როდი ანაწილებენ სწორად საქონლის ფონდებს ცალკეულ მაღაზიებში და დიდძალი საქონელი ხშირად რაიონულ ცენტრებში რჩება. მაგალითად, ზესტაფონის რაიკოოპკავშირმა მესამე კვარტალში მარტო რაიმალაზიაში გაყიდა რაიონისათვის გამოყოფილი მთელი სამრეწველო საქონლის 27,8 პროცენტი. ასეთი შემთხვევები გვხვდება სხვა რაიონებშიც.

სავაჭრო ქსელში ხშირად არა აქვთ საქონლის სრული ასორტიმენტი. ამავე დროს ეს საქონელი აწყვია სოფლის კოოპერატივის, რაიკოოპკავშირის საწყობებში ან ცეკავშირის ბაზებში. განსაკუთრებით შეუწყნარებელია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ცალკეულ მაღაზიებსა და დუქნებში არ იშოვნება ყოველდღიური საჭიროების საქონელი, მაშინ როცა მისი მარაგი საწყობებში არის.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ზოგიერთი კოოპერატორი, რაკი საქონელბრუნვის გეგმა საერთოდ სრულდება, ვეღარ ხედავს თავისი მუშაობის ნაკლოვანებებს, ხოლო ცეკავშირის გამგეობა და, პირველ რიგში, მისი სავაჭრო სამმართველო, სარაიონთაშორისო ბაზები და მათი ინსტრუქტორები — საქონელმცოდნეები კონკრეტულად, საქმიანად არ ზრუნავენ ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, ვაჭრობის კულტურის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის. ცეკავშირში მოგვარებული არ არის მუდმივი, ქმედითი კონტროლი რაიკოოპკავშირებისა და მთელი სავაჭრო ქსელის მუშაობისადმი.

ვაჭრობის მუშაკთა პირდაპირი მოვალეობაა შეისწავლონ მოსახლეობის საჭიროება, მისი მოთხოვნილებანი სხვადასხვა სახეობის საქონელზე და დროულად შეზიდონ ეს საქონელი. სამწუხაროდ, ყველა მათგანი ვერ ართმევს თავს ამ მოვალეობას. ეს იმას იწვევს, რომ ხშირად ყიდულობენ და სავაჭრო ქსელში შეაქვთ ისეთი საქონელი, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. ამის შედეგად გროვდება საქონლის ზენორმატიული ნამეები. მახარაძის რაიონის რაიკოოპკავშირის სავაჭრო ქსელში მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ასეთი ზენორმატიული საქონელი 10,4 მილიონი მანეთისა დაგროვდა, წყალტუბოს რაიონში — 9,2 მილიონი მანეთისა, აფხაზეთში 9 მილიონი მანეთისაზე მეტი.

ცეკავშირისა და რაიკოოპკავშირების აპარატში ხელი არ აუღიათ საქონლის მექანიკური დაგეგმვისა და განაწილების არასწორ მეთოდზე. უკანასკნელ დრომდე ცეკავშირი სასურსათო და ზოგიერთ სამრეწველო საქონელს ანაწილებდა არა მარტო რაიონების მიხედვით, არამედ რაიონის ცალკეულ სავაჭრო საწარმოთა მიხედვითაც კი, უგულებელყოფდა რა რაიკოოპკავშირთა გამგეობებს. ამასთანავე მთელ რიგ შემთხვევებში რაიონული კოოპერაციული ორგანიზაციების სავაჭრო განყოფილებათა გამგეებისა და საქონელმცოდნეთა არასაკმაო კვალიფიკაციის გამო ზოგჯერ ყიდულობენ დიდძალ საქონელს, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. ასპინძის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში, მაგალითად, 1958 წლის 1 იანვრისათვის იმდენი ძაფი და შურუპი იყო, რომ ჭარბად ეყოფოდა სარეალიზაციოდ სამ რაიონს.

ამოცანა ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ საქონლის განაწილების მექანიკური დაგეგმვის უვარგისი მეთოდები, აღმოვფხვრათ წვრილმანი მეურვეობა, მეტი უფლებები მივანიჭოთ რაიონულ კოოპკავშირებსა და სოფლის კოოპერატივებს, განსა კ უ თ რ ე ბ ი თ სოფლისათვის საჭირო საქონლის შერჩევასა და შეზიდვაში. სამომხმარებლო საზოგადოებებისათვის უფლებებისა და დამოუკიდებლობის მინიჭება გააძლიერებს კოოპერაციის მუშაკთა პასუხისმგებლობას თავიანთ მომხმარებელთა წინაშე. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მუშაობა შეიძლება თვითდინებაზე მივუშვათ. საჭიროა ყოველდღიური და მტკიცე კონტროლი.

ვაჭრობაში, განსაკუთრებით სამრეწველო და სასურსათო საქონლის სოფლის მომხმარებლისათვის დროულად და გეგმაზომიერად მიწოდებაში არსებული ნაკლოვანებანი ავრეთვე იმის შედეგია, რომ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, საბითუმო ბაზები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ. ისინი ხშირად უგულებელყოფენ საკოლმეურნეო სოფლის მომხმარებელთა ინტერესებს. „გლავბაკალეის“, „გლავტექსტილტორგის“, „გლავტორგოდეუდის“ რესპუბლიკური საბითუმო ბაზები და სხვები თასაბარზომიერად ვერ ამარაგებენ სამომხმარებლო კოოპერაციას და ხშირად აწვდიან ისეთ ასორტიმენტის საქონელს, რომელზეც მოთხოვნილება არ არის, არ ზრუნავენ დაფასოვებული საქონლის შეზიდვისათვის. არის შემთხვევები, რომ გამოჰყოფენ ცუდი ხარისხის პროდუქციას. ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ბაზები, რომლებიც შუამავლები არიან სამომხმარებლო კოოპერაციასა და მრეწველობას შორის, არსებითად საკმაო გავლენას ვერ ახდენენ მრეწველობაზე სოფლისათვის საჭირო ასორტიმენტის საქონლის დამზადების საქმეში.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო სოფლად საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საკითხებს. უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი 840-დან 1.055-მდე გადიდდა. შარშან მათმა ბრუნვამ 340 მილიონი მანეთი შეადგინა. მაგრამ ყველა რაიონში როდი უთმობენ სერიოზულ ყურადღებას საზოგადოებრივ კვებას. კოოპერაციის სასადილოებში, რესტორანებში კარგი ხარისხის კერძების დიდი არჩევანი უნდა იყოს. საჭიროა, რომ სოფლის სასადილოებს ჰქონდეთ საკუთარი დამხმარე მეურნეობანი, ასუქებდნენ ღორებს, ჰყავდეთ ფრინველი.

გადაუდებელი ამოცანაა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების პროგრესული მეთოდებისა და ფორმების გამოყენება, მოწინავე გამოცდილების გავრცელება, ახალი ტექნიკის დანერგვა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის საქმე შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს. შარშან რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციამ დაამზადა 125 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული, ვიდრე 1956 წელს. ამავე დროს მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა არ შესრულებულა.

საკომისიო ვაჭრობაში ჯერ კიდევ დაბალია მეცხოველეობის პროდუქტების, ბოსტნეულის, კარტოფილის ხვედრითი წონა. ზოგიერთი კოოპვაჭრობა ამჯობინებს ღვინის ყიდვა-გაყიდვას.

სოფლის მეურნეობის მკვეთრმა აღმავლობამ შექმნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე, გააფართოვა კოოპერაციული ორგანიზაციების, როგორც ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი დამამზადებელისა და შემსყიდველის ამოცანები. კოოპერაციამ გაბატონებული მდგომარეობა უნდა დაიჭიროს საკოლმეურნეო ბაზრებში ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვისა და გაყიდვის დროს, გავლენა უნდა მოახდინოს ბაზრის ფასების შემცირებაზე.

სამომხმარებლო კოოპერაციამ უფრო ფართოდ უნდა განავითაროს საწარმოო საქმიანობა: პურის ცხობა, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების და სხვა პროდუქტების, უალკოჰოლო სასმელების დამზადება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ასორტიმენტის გაფართოებას.

მომხსენებელმა ანალიზი გაუკეთა სამომხმარებლო კოოპერაციის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. ცეკავშირის სისტემის საკუთარი სახსრები მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის თითქმის 680 მილიონ მანეთს შეადგენდა. მარტო 1957 წელს ეს სახსრები გადიდდა 85 მილიონი მანეთით. ამ უკანასკნელ დროს სახსრების ეკონომიური ხარჯვისა და შრომისა და მატერიალური დანახარჯების შემცირებისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო მიმოქცევის ხარჯების 13,8 პროცენტით შემცირება 1955 წლის დონესთან შედარებით. სამომხმარებლო კოოპერაციამ შარშან მიიღო 126 მილიონი მანეთი დაგროვება.

მაგრამ ეს მონაცემები მაინც არ გვაძლევენ დამშვიდების უფლებას. სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის დიდი ნაკლია დებიტორული დავალიანება, გაფლანგვა და დატაცება. ბოროტმოქმედების ფაქტები გამოვლინდა აფხაზეთის ასსრ, ადიგენის, ლენინგორის, ქუთაისისა და სხვა რაიონების კოოპერაციულ ორგანიზაციებში.

ეს შეუწყნარებელი მოვლენები იმის შედეგია, რომ მთელი რიგი კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობანი უდარდელობასა და გულდამშვიდებას იჩენენ, სუსტია საზოგადოებრივი კონტროლი, დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული კოოპერაციული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმე.

სოციალისტური საკუთრების დაცვა დიდმნიშვნელოვანი საერთო-სახალხო საქმეა. პარტიის სოლქო კომიტეტები და რაიკომები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები მოვალენი არიან ღრმად ჩასწვდნენ სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობას, პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მას არსებით ნაკლოვანებათა დაძლევაში, ყოველდღიური პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა აწარმოონ სასოფლო- ვაჭრობის მუშაკთა შორის. საჭიროა ფართო საზოგადოებრიობა ჩავაბათ გაფლანგვის, დატაცებისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლო უნდა მოეღოს კოოპერაციული დოვლათის დამტაცებლებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებას. საგამომძიებლო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა გაფლანგვა-დატაცების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად.

არ უნდა დავუშვათ ამ დანაშაულობათა საქმეების გამოძიების გაჭიანურება. დამნაშავენი უნდა დავსაჯოთ კანონის მთელი სიმკაცრით, ამასთან მივიღოთ ღონისძიებანი იმისათვის, რომ მთლიანად ვაზღვევინოთ დამნაშავეებს კოოპერაციისათვის მიყენებული ზარალი.

კამათში გამოსულნი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო მიღებული კანონი „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე სახავენ ახალ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს. მათი წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა გარდავქმნათ და გავაუმჯობესოთ მთელი მუშაობა, სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა დავუქვემდებაროთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ინტერესებს.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. ჩიქოვანმა** თავის გამოსვლაში დაახასიათა რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობა. საცალო საქონელბრუნვის გეგმა მან 1957 წელს შეასრულა 101,7 პროცენტით. ეს გეგმა წინა წელთან შედარებით 16 მილიონი მანეთით გადიდდა. გადაჭარბებით შეასრულეს გეგმა საზოგადოებრივი კვების კოოპერაციულმა საწარმოებმა. წარმატებით რეალიზებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის დაკალება.

მაგრამ, როგორც ამხ. ჩიქოვანმა აღნიშნა, ამ საკმაოდ კარგ მაჩვენებლებთან ერთად არის სერიოზული ნაკლოვანებები. კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობები ჯეროვნად არ სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას, უშვებენ შეცდომებს საჭირო საქონლის განაწილებასა და მიწოდებაში. ამას მოჰყვა ის, რომ ცალკეული სოფლის კოოპერატივები და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კოოპერატივები ძნელ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობა სუსტად იბრძვის საქმის ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ, არ იღებს ენერგიულ ღონისძიებებს, რათა გაადიდოს მუშაკთა პასუხისმგებლობა დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის.

ახლა გაჩაღებულია მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. მაგრამ, სამწუხაროდ, კოოპერატივებმა არ იზრუნეს უშუალოდ მინდვრებსა და პლანტაციებში ვაჭრობის ორგანიზაციისათვის, იმისათვის, რომ სოფლის მშრომელნი უზრუნველყონ საჭირო სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით.

სუსტი საზოგადოებრივი კონტროლის გამო, კოოპერაციის მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკების წაყრუებისა და პირადიობის შედეგად ირღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები, ხდება გაფლანგვა და დატაცება. დოკუმენტალური რევიზიები და ინვენტარიზაცია ხშირად ზერელედ ხორციელდება, ფორმალურ ხასიათს ატარებს. ყოველთვის როდი იღებენ საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ მთლიანად აზღვევინონ დამნაშავეებს მიყენებული ზარალი.

პარტიის საოლქო კომიტეტმა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ღონისძიებანი სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის. მეტ ყურადღებას უთმობენ კოოპერაციულ ორგანიზაციებს პარტიის რაიონული კომიტეტები და რაიაღმასკომები.

ახალციხის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **გ. მურადოვმა** ილაპარაკა იმაზე, რომ პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი საქმიანობის აღმავლობას. გაუზიარა რა დამსწრეთ რაიკოოპკავშირის მუშაობის გამოცდილება, მან აღნიშნა, რომ შარშან მისი საქონელბრუნვა 1956 წელთან შედარებით გადიდდა 5.700 ათასი მანეთით. ზეგეგმითი მოგება შეადგენს 360 ათას მანეთს. მიღწეულია ეკონომია აგრეთვე ბრუნვის ხარჯებში. ამ უკანასკნელ წლებში რაიკოოპკავშირის სისტემაში ლიკვიდირებულია დებიტორული დავალიანება და აღმოფხვრილია გაფლანგვისა და დატაცების შემთხვევები. სისტემატურად სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის სახელმწიფო გეგმები.

მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით რაიონში განუწყვეტლივ ფართოვდება კოოპერაციული მაღაზიების, სასადილოების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა ქსელი. ამ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში აიგო 8 ახალი მაღაზია და ერთი სასადილო. ახლა შენდება კიდევ ექვსი მაღაზია.

საინტერესო ციფრები, ფაქტები, რომლებიც მოწმობენ სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას, მოიყვანა თავის გამოსვლაში პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანმა ამხ. **ვ. ბურდულმა.** კოოპერაციის მუშაობა პარტიის რაიკომის მუდმივი ზრუნვის საგანია. გასულ წელს რაიკოოპკავშირმა მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულა საცალო საქონელბრუნვისა და საკომისიო ვაჭრობის გეგმა.

რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა ვაჭრობის გაფართოება მაღალმთიან სოფლებში. მაგრამ ახალი მაღაზიების, დუქნების გახსნა შეზღუდულია სათანადო შენობების უქონლობის გამო. საჭიროა ცეკავშირის გამგეობამ გადაწყვიტოს მათი მშენებლობის საკითხი. საჭიროა აგრეთვე მოეწყოს დატარებით ვაჭრობა, გამოიყოს ამისათვის ავტოდუქნები.

ცეკავშირის გამგეობამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ადგილებზე ვაჭრობის მუშაკებისათვის მოეწყოს მოკლევადიანი კურსები. ეს საშუალებას მოგვცემს განვამტკიცოთ სამომხმარებლო კოოპერაცია კვალიფიციური მუშაკებით ადგილობრივი მოსახლეობიდან.

მარნეულის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ქერიმოვმა** აღნიშნა, რომ კოოპერატივებს შეუძლიათ კარგად იმუშაონ მხოლოდ მეპაიეთა უშუალო მონაწილეობით, მათი ყოველდღიური კონტროლის პირობებში. მაგრამ მათთან მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე როდია. მეპაიეები შეადგენენ რაიონის მთელი მოზრდილი მოსახლეობის მხოლოდ ნახევარს. ეს იმას მოწმობს, რომ რაიკოოპკავშირისა და სოფლის კოოპერატივების გამგეობანი საკმაოდ არ ეწევიან მუშაობას მოზრდილი მოსახლეობის კოოპერირებისათვის.

ვერ ვხედავთ ჯეროვან ზრუნვას მეპაიეთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის. ეს გარემოება სამართლიანად აღინიშნა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე. მიღებულ განაწყენში დასახულია ამოცანა 1960 წლამდე რაიონში და მის მთელ რიგ სოფლებში აიგოს ახალი ამბანოები, სამრეცხაო, საპარიკმახეროები, საბავშვო ბაღი, გაიხსნას ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საკერავი სახელოსნოები. ამ საქმეში საჭიროა ცეკავშირის გამგეობის კონკრეტული დახმარება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **მ. მეგრელიშვილმა** აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციას ყველა შესაძლებლობა აქვს ყოველმხრივ დააკმაყოფილოს სოფლის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი სხვადასხვა საქონელზე, უკეთ უზრუნველყოს კოლმეურნეთა საწარმოო საჭიროებანი. მაგრამ ვაჭრობის ცალკეული მუშაკების მოუქნელობის, უინიციატივობის გამო სოფლად ვაჭრობის ორგანიზაციას ცოტა ნაკლი როდი აქვს. მაგალითად, საბჭოთა კონტროლის კომისიის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, რომ აჭარის მთელ რიგ სასოფლო მაღაზიებში გასაყიდად არ იყო საქონელი, რომელიც იმ დროს დიდი რაოდენობით იყო აჭარკოოპკავშირის საწყობებში.

სამომხმარებლო კოოპერაცია მტკიცედ უნდა ახორციელებდეს ღონისძიებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ დასახა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის საზოგადოებრივი კვების კოოპერაციული საწარმოები მოწოდებული არიან განუხრელად შეასრულონ თავიანთი ძირითადი ამოცანა — უკეთ დააკმაყოფილონ მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენების ყოველდღიური მოთხოვნილებანი, რათა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის გასათავისუფლდეს სოფლის რაც შეიძლება მეტი მშრომელი.

გაუმჯობესებას მოითხოვს წიგნის ვაჭრობა სოფლად. ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურის შერჩევას, ახალი წიგნებით სოფლის მკითხველთა უზრუნველყოფას.

ახორციელებენ რა დიდ მუშაობას ქალაქისა და სოფლის კავშირის გაფართოებაში, სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საკოლმეურნეო სოფლის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

კოოპერაციული კადრების შერჩევისა და აღზრდის პარტიული პრინციპის დაცვის საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომის მდივანმა ამხ. **ი. უზნაძემ.**

პარტიის ოჩამჩირის რაიკომის მდივანმა ამხ. **ჟ. აბღაჯმა** თქვა, რომ კოოპერატორები საკმაოდ არ სწავლობენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას, რის შედეგადაც მაღაზიებში ზოგჯერ შემოაქვთ საქონელი, რომელიც არ საღდება. ძნელია სეზონური საქონლის შოვნა.

რაიონში სუსტად წარმოებს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. სიფხიზლის მოდუნებით, კონტროლის უქონლობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მოქვის საბჭოთა მეურნეობის მუშათა კოოპერატივში დიდ ხანს დაუსჯელად პარპაშებდა დამნაშავეთა ჯგუფი და ფლანგავდა სახალხო ქონებას.

იმაზე, რომ საჭიროა გავაძლიეროთ მეპაიეთა აქტივობა, ყოველი ღონისძიებით წავახალისოთ მათი თვითმოქმედება, განვავითაროთ შეჯიბრება ვაჭრობის მუშაკთა შორის, ჩავუნერგოთ მათ შეგნებული დამოკიდებულება შრომისადმი, ილაპარაკეს ქობულეთისა და წყალტუბოს რაიკოოპერატივების გამგეობათა თავმჯდომარეებმა ამხ. **დ. ცივაძემ** და **ა. გეგეშიძემ,** თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ა. ბატიაშვილმა.**

მთელ რიგ პრაქტიკულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის განმტკიცებასთან, შეეხო თავის სიტყვაში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. ჯიმარჯიძე.** მან თქვა, რომ საჭიროა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნას უფრო ხარისხოვანი ნედლეულით. დამამზადებელი პუნქტები უნდა დაკომპლექტდეს კვალიფიციური, თავისი საქმის კარგად მცოდნე მუშაკებით.

— სამომხმარებლო კოოპერაცია, — თქვა პლენუმზე „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ა. კლიმოვმა,** — წლითიწლობით სულ უფრო დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებაში. კოოპერაციის საქმიანობა დამყარებულია მშრომელთა მასების თვითმოქმედებაზე. სამომხმარებლო საზოგადოებათა და კავშირთა მმართველობისა და კონტროლის ორგანოების ანგარიშგებამ და არჩევნებმა ცხადყო მეპაიეთა გაზრდილ

ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი მუშაობა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან

(დასასრული)

მაგრამ ამასთან სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობას ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი. ძირითადი ნაკლი ის არის, რომ იგი არ ეწევა საკმაო ორგანიზატორულ მუშაობას სოფლის მოსახლეობის ფართო ფენებში. კოოპერაცია სჯერდება სავაჭრო საქმიანობას და ჯერ კიდევ არ გამხდარა საზოგადოებრივი ორგანიზატორი საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისა და სოფლის მშრომელთა გაზრდილი საჭიროებების დაკმაყოფილების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში.

ამხ. დუმბაძე ამბობს, რომ იქ, სადაც ხორციელდება ხელმძღვანელობის დემოკრატიული პრინციპები, სადაც მეპაიეებს იზიდავენ კოოპერაციის საქმეების მართვაში, არის წარმატება მუშაობაში, კარგად მოწესრიგებულია საქონლის შემოტანა და განაწილება უზრუნველყოფილია მაღალი კულტურა ვაჭრობასა და წარმოებაში, აღმოფხვრილია უყაირათობა, გაფლანგვა და დატაცება.

საჭიროა მთელი ყურადღება მიექცეს სოფლად ვაჭრობის სანმომუშო ორგანიზაციას, უკეთ შესწავლილ იქნას მომხმარებელთა მოთხოვნილებანი, საქონლის შემოტანისა და განაწილებისას გათვალისწინებულ იქნას ცალკეული რაიონების ეკონომიური თავისებურებანი, უარი ვთქვათ უსარგებლო ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე, კოოპერაციის მუშაკებს შევუქმნათ პირობები მუშაობაში მეტი ინიციატივის გამოჩენისათვის.

შეეხო რა ცეკავშირისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს ურთიერთობის საკითხს, ამხ. დუმბაძემ შემდეგ ილაპარაკა სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანებზე საკომისიო ვაჭრობის განვითარებაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმის წარმატებით შესრულებაში, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებზე მომუშავეთა მომსახურების ორგანიზაციაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა და ცეკავშირის გამგეობამ სამომხმარებლო კოოპერაცია უნდა განამტკიცონ შემოწმებული, კვალიფიციური მუშაკებით, უფრო გაბედულად ჩააბან ვაჭრობაში ქალები, გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. საჭიროა კომუნისტები, სასოფლო ვაჭრობის ყველა მუშაკი დაირაზმონ სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

პლენუმზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძე.**

განხილულ საკითხზე მიღებულია ვრცელი გადწყვეტილება, რომლის მიზანია რესპუბლიკის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება. (საქდესი).

საკავშირო აღკკ XIII ყრილობა

ძველ კრემლში ყველაფერი სავსეა ახალგაზრდული ენთუზიაზმით! მხიარული კომკავშირული სიმღერები გაისმის სასახლეში საკავშირო აღკკ XIII ყრილობის სხდომიდან სხდომამდე შესვენების დროს. მესამე დღეა, რაც კომკავშირელთა წარმოგზავნილნი საქმიანად ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა თავდადებით შრომობს კომკავშირი და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა უბანზე. დელეგატები აღნიშნავენ ნაკლოვანებებს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში, პოულობენ ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვებს, მსჯელობენ იმაზე, თუ როგორ დაეხმარონ უკეთ პარტიას ჩვენი ქვეყნის ნათელი აწმყოსა და მომავლის მშენებლობის საქმეში. ფართო გასაქანი აქვს ახალგაზრდობას ყველაზე გაბედული შემართებისათვის, კომუნიზმის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. ა. შევარდნაძე** იწონებს კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ინიციატივის, თვითმოქმედების ყოველი ღონისძიებით განვითარებას და, კერძოდ, მოკავშირე რესპუბლიკათა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების უფლებათა გაფართოებას, რასაც საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს. ახლა გაცილებით უფრო ადვილია ადგილობრივ თავისებურებათა, სპეციფიკის გათვალისწინება რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. ამასთან ერთად, ამბობს ორატორი, ჩვენ ვგრძნობთ რაოდენ გაიზარდა ჩვენი პასუხისმგებლობა ახალგაზრდობის წინაშე, რაოდენ გადიდდა კომკავშირული კომიტეტების ავტორიტეტი, რომლებიც დამოუკიდებლად წყვეტენ კომკავშირული მუშაობის ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხს.

ამხ. შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს კომკავშირი კვლავაც დაუცხრომლად შთაუნერგავს ახალგაზრდობას ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხისადმი მეგობრობის გრძნობებს, ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი სოლიდარობის გრძნობებს.

ციმბირის ქალაქ ტომსკისა და მისი ოლქის კომკავშირელთა სახელით ყირილობის დელეგატებს მიესალმა ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი **ვ. ბ. კეტოვი.** იგი სიამაყით ლაპარაკობს იმაზე, რომ გიგანტურ ცვლილებებში, რაც მოხდა გადასახლებისა და საკატორღო სამუშაოების ყოფილ გუბერნიაში, მისი მშობლიური მხარის ჭეშმარიტად ზღაპრულ გარდაქმნებში დიდი როლი შეასრულა ტომსკის ახალგაზრდობამ, იმ ქალაქის ახალგაზრდობამ, რომელიც სამართლიანად ითვლება ციმბირის კადრების სამჭედლოდ.

— სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლების — თავისი ძმების და დების მხარდამხარ, ერთ რიგებში მწყობრი ნაბიჯით მიდის მებრძოლ ერთსულოვან კომკავშირულ ოჯახში აგრეთვე ესტონეთის კომკავშირი, — ამბობს ესტონეთის აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ვ. ი. ვიალიახი.** ყირილობის გახსნის დღისათვის რესპუბლიკის ახალგაზრდა მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 120 ათას ტონაზე მეტი ფიქალი. ასეთი შედეგების მიღწევაში მათ დაეხმარა სახელგანთქმული უკრაინელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის მეთოდი. ესტონეთის კომკავშირის დელეგაცია, ამბობს ორატორი, მხარს უჭერს წინადადებებს ელექტროსადგურების მშენებლობაზე, ტრანსპორტის ელექტროფიკაციაზე. ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაზე ახალგაზრდობის შეფობის შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ნ. რომანოვი** ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურის 200 ათასი კოლექტივია. თანრიგოსანი სპორტსმენების რიცხვი ახლა დაახლოებით 2,5 მილიონს უდრის, სპორტის ოსტატებისა — 11 ათასზე მეტს. 84 საბჭოთა სპორტსმენი ატარებს მსოფლიოს ჩემპიონის მაღალ წოდებას. საერთო აღიარებით საბჭოთა კავშირი ახლა სპორტული მიღწევების დონის მხრივ პირველ ადგილზე გამოვიდა მსოფლიოში. ამავე დროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში, ამბობს ორატორი, ბევრი ნაკლი და გადაუჭრელი ამოცანაა. ახალგაზრდობა ჯერ კიდევ სუსტად არის ჩაბმული ფიზკულტურულ მეცადინეობაში, ნელა იზრდება სპორტსმენთა ფართო მასების ოსტატობა, საუკეთესო მიღწევები სპორტის ზოგიერთ სახეობაში ჩამორჩება მსოფლიო მიღწევებს.

ახალგაზრდობის შრომითს ყოველდღიურობაზე ილაპარაკა კომკავშირის სტალინგრადის ოლქის პალასოვკის რაიკომის მდივანმა **ნ. ა. კაჩაროვამ.** მტლების ყველა ახალგაზრდა მექანიზატორი უკვე გადავიდა სამუშაოდ კოლმეურნეობათა მემანდილეობის ბრიგადებში და ენთუზიაზმით იბრძვის იმისათვის, რომ ლენინური კომკავშირის სიიუბილეო წელი უზვი მოსავლით აღნიშნოს. დიდ დახმარებას გვიწევენ ამ საქმეში სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები. მეტწილ სკოლებში გახსნილია მექანიზატორთა კურსები. უფროსკლასელები ინტერესით ეუფლებიან ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, შემკეთებელთა პროფესიებს. მარტო კოლმეურნეობა „პობედაში“ წელს მუშაობს საშუალო სკოლის 120-მდე კურსდამთავრებული.

ყირილობის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მეფოლადის თანაშემწის **ა. ფ. ხრაპოვის** გამოსვლას. იგი ლაპარაკობს დიდ შრომითს აღმავლობაზე ახალგაზრდა მუშებს შორის, ლითონის წარმოების გადიდების ახალ რეზერვებზე, რომლებსაც ისინი პოულობენ.

საკავშირო აღკკ XIII ყრილობას მექსიკის კომუნისტური ახალგაზრდობის, მთელი დემოკრატიული ახალგაზრდეული მოძრაობის სახელით მხურვალე ძმური სალამი გადასცა **ლიონელ პადილამ** — მექსიკის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

მონღოლი და საბჭოთა ახალგაზრდობის მტკიცე, ურღვევი მეგობრობის შესახებ ილაპარაკა ყირილობაზე მონღოლეთის ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. დანგასურენმა.** დელეგატები გულთბილად შეხვდნენ ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საკავშირო აღკკ XIII ყრილობისადმი, რომელიც მან გამოაქვეყნა. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა ტრადიციული მეგობრობის ნიშნად მან პრეზიდიუმს გადასცა ვ. ი. ლენინისა და მონღოლი ხალხის ბელადის სუხე-ბატორის პორტრეტები.

ყირილობის დელეგატებს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას მიესალმა ჰოლანდიის ახალგაზრდობის საყოველთაო კავშირის აღმასკომის წევრი **მეი ბონსელაარ ნორდჰოლტი.** მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ საბჭოთა ხალხს არა სურს მეცნიერებისა და ტექნიკის დიადი მიღწევები გამოიყენოს იმისათვის, რომ თესოს სიკვდილი.

მოლდავეთის დელეგაცია იწონებს საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას საანგარიშო პერიოდში, — ამბობს მოლდავეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. გ. ბუგა.** რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა თავიანთ ენერგიას აზმარენ უმნიშვნელოვანესი სახალხოსამეურნეო ამოცანების გადაჭრას, თავიანთი ინიციატივა შეაქვთ ყველა საქმეში. ახლა რესპუბლიკაში შექმნილია 7.200 კომკავშირული-ახალგაზრდული რგოლი, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან იმისათვის, რომ ჰექტარზე მიღონ სულ ცოტა 40 ცენტნერი სიმინდის მარცვალი. 1.100-ზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი აბრძვის ნესტის გაყვანისა და ხილის უზვი მოსავლის მიღებისათვის. უახლოეს ექვს-შვიდ წელიწადში კომკავშირული ორგანიზაცია იმუშავებს იმისათვის, რომ ახალგაზრდობის ძალებით შექმნას 250-300 ათასი ჰექტარი ბაღები და ვენახები.

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი **ნ. ა. მიხაილოვი** ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომკავშირი დიდ როლს ასრულებს კულტურულ მშენებლობაში. ახალგაზრდობამ უკეთ უხდა გამოიყენოს, ამბობს იგი, ჩვენს ქვეყანაში არსებული თითქმის 400 ათასი ბიბლიოთეკა მილიარდნახევარი ცალი ლიტერატურის ფონდით. მხატვრული თვითმოქმედების 400 ათასი წრე, რომლებშიც მონაწილეობას იღებს ექვს მილიონზე მეტი კაცი. კომკავშირული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ სამინისტროს სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მოწესრიგებაში, მის შემდგომ აღმავლობაში.

ამხ. მიხაილოვი ეხება ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის მზადებას, ლაპარაკობს სრულიად საკავშირო კონკურსებზე, რომლებიც გამოცხადებული ამ ღირსშესანიშნავი თარიღის გამო.

ტრიბუნასთან მიდის სასკოლო ფორმით გამოწყობილი ქალიშვილი. ეს არის სტავროპოლის მხარის გორიაჩევოდსკის სკოლის მეათეკლასელი **ტ. დობროვოლსკაია.** დარბაზი ტაშით ხვდება მას. მხარის კომკავშირის წარმოგზავნილებმა ყირილობის თვითეულ დელეგატს აჩუქეს წიგნი, რომელიც მოგვითხრობს სტავროპოლის მხარის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების შესანიშნავ საქმეებზე. ახლა მხარეში 308 ასეთი ბრიგადაა. მათი სამი წლის მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახვა, ამბობს მოსწავლე ქალიშვილი, რომ ეს არის საწარმოო შრომასთან სწავლის შეხამების მეტად მოხერხებული ფორმა. შრომა დიდ მორალურ კმაყოფილებას გვაძლევს: იგი აღვიძებს აზრს, გვინერგავს ცხოვრებისათვის საჭირო ჩვევებს. დელეგატი აცხადებს, რომ ბრიგადებმა შარშან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა მოიყვანეს 25 ათას ჰექტარ ფართობზე, აქედან 11 ათას ჰექტარზე — სიმინდი. სიმინდი მათ მოიყვანეს იმდენი, რომ შეიძლება დაითესოს დაახლოებით 1 მილიონი ჰექტარი, ხოლო ეს მხარეში სიმინდის მთელი ნათესი ფართობი იქნება.

რუსეთის სფსრ განათლების მინისტრმა **ე. ი. აფანასენკომ** ყირილობის დელეგატებს უამბო გარდაქმნაზე, რაც რუსეთის ფედერაციის სკოლებში ხორციელდება სწავლების პოლიტექნიზაციისთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ შრომასთან მჭიდრო კავშირი მოზარდ თაობას უნერგავს შრომისადმი ნამდვილ კომუნისტურ დამოკიდებულებას. ახალი სასწავლო გეგმები და პროგრამები, რომლებიც შემოუშავეს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიამ, საშუალებას გვაძლევენ, როგორც ეს გამოცდილებამ გვიჩვენა, უზრუნველვყოთ კურსდამთავრებულთა ცოდნის უფრო ფართო წრე თანამედროვე წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებში, აგრეთვე პრაქტიკული მომზადება.

ძმური სალამი და საუკეთესო სურვილები. საკავშირო აღკკ XIII ყრილობას გადასცეს თავიანთი ქვეყნების ახალგაზრდობის სახელით ნორვეგიის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **პერ სვენდსენმა,** პოლონეთის სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **მარიან რენემ,** რუმინეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვირჯილ ტროფინმა,** ურუგვაის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვალტერ სანსევიერომ.**

საბჭოთა მეცნიერების მუშაკთა სახელით ყირილობას მხურვალე სალამი გადასცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ა. ნ. ნესმეიანოვმა.** ამ დარბაზში, ამბობს იგი, შეიკრიბნენ ყველა პროფესიის წარმომადგენლები. რა სასიხარულოა, რომ საწარმოო შრომის ყველა სახეობა ჩვენს ქვეყანაში თანაბრად საპატიოა, თანაბრად ნაყოფიერია. შრომის ყველა ეს სახეობა ხომ ერთ საერთო მიზანს — საზოგადოებრივ კეთილდღეობას ემსახურება, ხელს უწყობს წინსვლას — მშვიდობიანი, ბედნიერი, შემოქმედებითი შემართებითა და დიადი წარმატებებით აღსავსე ცხოვრებისაკენ.

ტექნიკის პროგრესი, გახსოვრობს ორატორი, ჩვენს თვალწინ ათავისუფლებს ადამიანს ფიზიკური შრომის მძიმე და მავნე ფორმებისაგან. წარსულს ჩაბარდა ბურლაკების, ქვისმთლელების, მშენებლობაზე აგური მიმტანების, მხვნელი გლეხის უმძიმესი სამუშაოები.

პრეზიდენტი ლაპარაკობს სამამულო მეცნიერების შესანიშნავ მიღწევებზე, რომლებიც მეცნიერთა, ინჟინერთა, ოსტატთა, მუშათა, აგრონომთა, კოლმეურნეთა ფართო კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია. ამ გრანდიოზულ მუშაობაში მონაწილეობა ახალგაზრდობის აღზრდის საუკეთესო სკოლაა. ამხ. ნესმეიანოვმა უსურვა ახალგაზრდობას ბედნიერება დაძაბული, შთაგონებული შემოქმედებითი შრომისა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— ათასობით კომკავშირელი მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი შშობლიური პარტიის მოწოდებას, დატოვა შეჩვეული ადგილები, მოხერხებული ბინები, გამოეთხოვა ნათესავებსა და ნაცნობებს და ჩამოვიდა ჩვენთან ციმბირში, მშენებლობებზე, — ამბობს კომკავშირის ომსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი **ვ. ა. კარპენკო.**

— მარტო ომსკში ჩამოვიდა ექვსი ათასამდე ახალგაზრდა პატრიოტი, რათა მონაწილეობა მიეღო ევროპაში უდიდესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აგებაში და რკინიგზის ელექტროფიცირებული ხაზების გაყვანაში. ამხ. კარპენკო მადლობას უძღვნის ბაშკირეთის, მოსკოვის, როსტოვის, ბელგოროდის, კუიბიშევის ოლქების კომკავშირულ ორგანიზაციებს შესანიშნავი წარმოგზავნილებისათვის.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა **ა. ა. სურკოვმა** აღნიშნა, რომ კრიტიკა, რომელიც ყირილობის დელეგატებმა გამოთქვეს ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ, — ეს არის პატრონის კანონიერი შეშფოთება ამ დარგში საქმის მდგომარეობის გამო. იგი გაისმა იმიტომ, რომ კომკავშირი, რომელიც წყვეტს საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის დიდ ამოცანებს, ყველაზე მწვავედ გრძნობს ნაკლოვანებებს ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ილაპარაკა რა საბჭოთა პოეტების, მწერლების, დრამატურგების ძუძობაზე, ამხ. სურკოვმა თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი მიუძღვნა სამაძღოლო ლიტერატურის ახალ კადრებს და აღნიშნა, რომ უფროსი თაობის მწერლებმა უნდა გამოიჩინონ გორკისებური დაინტერესება ახალგაზრდა ლიტერატორთა ზრდით. დასასრულ პოეტმა წაიკითხა ლექსი, რომელიც მან დაწერა კომკავშირის XIII ყრილობისათვის.

ჩვენს ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი არმია, თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სამშობლოს დამცველთა რიგებში სამსახური დიდი ჰოვლენაა თვითეული საბჭოთა ჭაბუკის ცხოვრებაში. კომკავშირი შეიარაღებულ ძალებს აძლევს საიმედო შევსებას. ეს საყოველთაო-სახალხო საყვარული, სიამაყე იმათთვის, ვინც იარაღით ხელში დგას დიდი ოქტომბრის მონაპოვართა საგუშაგოზე, დელეგატებმა გამოხატეს მჭუხარე ტაშით შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა მიმართ, რომლებიც მოვიდნენ, რათა მისალმებოდნენ ყირილობას.

აღმფრთოვანებელი წუთები განიცადა ყველამ, ვინც დარბაზში იყო. მწყობრი ნაბიჯით შემოვადნენ ჯარისკაცები, მატროსები, სხვადასხვა გვარეობის ჯარების მეომრები, სუვოროვეცები და ნახიმოველები. წინ მოაქვთ საბრძოლო დროშები, რომლებსაც გაკეთებული აქვს ორდენის ლენტები, მოაქვთ სამხედროსაზღვაო ალმი.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომართა სახელით ყირილობას საბრძოლო სალამი გადასცა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა **ა. პ. შილინმა.** ჩვენ, განაცხადა მან, დაუცხრომლად გავაუმჯობესებთ სამხედრო ახალგაზრდობის პოლიტიკურ აღზრდას, შევისწავლით საბრძოლო ტექნიკას, იარაღს, განვამტკიცებთ დისციპლინას, წესიგს, ორგანიზებულობას. მიწაზე და ჰაერში, ზღვებსა და ოკეანეებში, ღრისით და ღამით გამოვიჩენთ მაღალ სიფხიზლეს, ფხიზლად დავიცავთ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას.

საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. ე. ხემიჩასტნი** წარმოთქვამს კომკავშირულ „ვაშას“ საბჭოთა კავშირის სახელოვანი გმირი შეიარაღებული ძალების პატივსაცემად. დელეგატები იმეორებენ „ვაშას“, ფეხზე ამდგარნი ტაშს უკრავენ მეომრებს.

ახალგაზრდობის შესანიშნავ საქმეებს, ახალგაზრდობისა, რომელიც აყვავებულ მხარედ აქცევს უწყლო უდაბნოებს, მიუძღვნა თავისი სიტყვა თურქმენეთის აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ხ. შირმამედოვმა.** ახლა ჩვენს მინდვრებში, ამბობს იგი, გაჩაღებულია თესვა. დაიწყო მოსავლისათვის ბრძოლა. წელს კოლმეურნეობებისათვის ტექნიკის გადაცემასთან დაკავშირებით კოლმეურნეობათა კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მოსავლის ბედისათვის განსაკუთრებით გადიდდა. ქალიშვილები და ჭაბუკები ეხმარებიან სასოფლო-სამეურნეო არტელებს ტექნიკის შესანახი მოედნებისა და ფარდულების მშენებლობაში, უმარტივესი საზეინკლო-მექანიკური სახელოსნოების შექმნაში.

საკავშირო აღკკ XIII ყრილობის დელეგატებს მიესალმნენ უცხოეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები — ავსტრალიის ახალგაზრდობის ლიგის „ევრიკას“ ეროვნული მდივანი **მეიფის მოუტენი,** ფინეთის ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ოლავი ხიანინენი,** საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე **ანრი მარტენი,** ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მილოსლავ ვეცკერი.** შვეიცის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე **როლფ უტბერგი,** იუგოსლავიის სახალხო ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მაკო ტრიპალო.**

ყირილობაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე სომხეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ს. ბ. ბალდასარიანმა,** ყირგიზეთის აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ბ. რისპაევმა.**

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის 25-ე წლისთავი



სურათზე: ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ხედი.

ფოტო ბ. მაღლაფერიძისა.

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ისევე როგორც რესპუბლიკის ბევრი სხვა უმაღლესი სასწავლებელი, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე აღმოცენდა. 25 წლის წინათ ქუთაისში დაარსებულ პირველ უმაღლეს სასწავლებელს სათავეში ჩაუდგნენ თბილისის უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერები. ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო დარგს ხელმძღვანელობდა პროფ. გ. ახვლედიანი. სხვადასხვა დროს აქ მუშაობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: დ. უზნაძე, ა. ბოჟორიშვილი, კ. კეკელიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ი. ცინცაძე, ს. კაკაბაძე, ლ. მოკიელი, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ჯანელიძე, ა. შანიძე, ა. ხარაძე და სხვები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეში. მათი დახმარებითა და ხელმძღვანელობით შემდგომ წლებში ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან აღიზარდნენ მეცნიერ მუშაკთა ის ძირითადი კადრები, რომლებიც ახლა ინსტიტუტში მუშობენ.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია ახლა ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში ამხ. შ. ჩხარტიშვილი, რომელმაც გასულ წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ინსტიტუტის დაარსების დღიდან მუშაობს აქ და უკვე ოცი წელია ინსტიტუტს ხელმძღვანელობს დოც. ლ. ჭელიძე. აქვე მუშაობენ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები დოცენტები ქ. ძოწენიძე, ნ. მანგალაძე, გ. სამხარაძე, მ. ალავიძე, ი. გოშხეთელიანი, დ. გაბრიაძე, ა. ბიბიჩაძე, ვ. სულავა, ი. კუბლაშვილი, პ. ჯაჯანიძე, გ. ჩხეიძე, შ. გობეჯიშვილი, მ. ზარქუა, პ. გულუა, ნ. ჩიქობავა, ი. ბერძული და ბევრი სხვა.

თავისი არსებობის ოცდახუთი წლის მანძილზე ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა გამოუშვა 10 ათასი პედაგოგი — ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, ისტორიის, ფიზიკის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიის, ლოგიკა-ფსიქოლოგიის, პედაგოგიკისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები.

ამჟამად ინსტიტუტში და მის დაუსწრებელ განყოფილებაზე 3.000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. მათ განკარგულებაშია 20 კაბინეტი და ლაბორატორია, 6 სახელოსნო ორანჟერია, საცდელი მიწის ნაკვეთი, ერთი მუზეუმი, კინოკაბინეტი. ინსტიტუტს აქვს ფუნდამენტური ბიბლიოთეკა, რომლის ფონდებში 300,000 წიგნია.

ინსტიტუტის 14 კათედრაზე გაერთიანებულია 150-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი, აქ ფართოდ არის გაშლილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. დღემდე გამოვიდა ინსტიტუტის „შრომების“ 18 ტომი, რომლებშიც გამოქვეყნებულია 350-მდე გამოკვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

1947 წლიდან ინსტიტუტთან არსებობს მშობელთა უნივერსიტეტი, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ამ უნივერსიტეტს ყოველწლიურად ამთავრებს ქუთაისის სკოლების მოსწავლეთა ასი მშობელი.

სკკკ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების ფართოდ განვითარების ამოცანების შესაბამისად შეიცვალა ინსტიტუტის სასწავლო გეგმები, დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტებისათვის თანამედროვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებისა და უმნიშვნელოვანესი დარგების სწავლება-გაცნობას.

19 აპრილს ქუთაისის საზოგადოება აღნიშნავს პედაგოგთა კადრების აღზრდის მძლავრი კერის — ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის არსებობის 25-ე წლისთავს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სპორტის ამბები

მატჩ-რევანში

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანშის გადადებული პარტიის დამთავრება.

ეს პარტია გადადებული იყო ვ. სმისლოვის პოზიციური უპირატესობით, მაგრამ იგი გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, მატჩ-რევანშის ანგარიში გახდა 10 : 7 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მორიგი, მე-18 პარტია.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

17 აპრილს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო ქალთა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრება.

სამი გადადებული პარტია ჰქონდა ხაჭაპურიძეს. აქედან მან გაიმარჯვა ივანოვასთან, ყაიმი გააკეთა გოგიავასთან და წაგო ბუცხრიკიძესთან. თბილისის ჩემპიონმა ტოგონიძემ ორი გადადებული პარტიიდან გათამაშების ცხრილში 1,5 ქულა ჩაიწერა — მოუგო აბროსიმოვას და ყაიმზე შეთანხმდა სამსონიასთან. კაკაბაძისა და კამენკოვიჩის პარტიაში მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასევეთვე შედეგი იქნა ფიქსირებული ფინქველაშვილი-ივანოვას პარტიაში. აბროსიმოვასა და ბერიშვილის პარტია დამთავრდა პირველის გამარჯვებით.

18 აპრილამდე გათამაშებულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით ლიდერები არიან კაკაბაძე და ტოგონიძე, რომლებსაც ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა აქვთ.

ფეხბურთელთა ასპარეზობა

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის საცურავ აუზში გრძელდება სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩის წაგების შემდეგ თბილისელები შედარებით სუსტად იბრძვიან იმის გამო, რომ მათ გამოაკლდათ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ჩაჩავა. თბილისის დინამოელებმა მორიგი 2 შეხვედრა ცსკ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებთან წააგეს ანგარიშით 1 : 4, 0 : 1.

წარმატებით იბრძვის მოსკოვის „დინამო“, რომელმაც კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, დაამარცხა კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაკო) გუნდი 5 : 2. ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ცსკ მოსკოვის გუნდმა დამარცხება განიცადა მოსკოვის „ტორპედოსთან“ 2 : 3.

პირველობის გათამაშების ლიდერი მოსკოვის „დინამო“.

რედაქტორი პ. რატიანი.

თბილისის საფანერო ქარხნის მუშამოსამსახურეები იუწყებიან

რუბენ სამსონის-ძე აბრამიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 20-IV, 2 ს. საპროექტო ქ. № 2 (საბურთალო).

შვილები გიორგი, სიმონ, ვლადიმერ კუპაიძეები, დები ნ. როსტომაშვილი, პ. ივანიშვილი ოჯახებით იუწყებიან

სოფიო ივანეს ასულ სანიკიძე-კუპაიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19-IV, 8 ს. გამოსვენება 20-IV, 3 ს. კოოპერაციის ქ. № 16.

და ელენე ოჯახით, შვილები თამარ, გიორგი, რძალი რუსუდან კიკნაძეები, სიძე შ. პირველი; ემზარ გვინ